

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადოსკის სახლში.

ველის-მოწყვერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარემო
გზოკუთხედით აღდგის: Тифлисъ, ред. „Дროება“

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფაქტ ნომერი „დროებისა“ დილის 5 კაპიკო.

ბაგოდის ყოველ-ღვე ორშაბათს ზარდა.



ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე ლიტონისზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უგანძვროლი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მან. სრული უგანძვროლი
ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ центъ, въ которой
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ფემდეგი ნომერი გაყვითისა ბაგო-
და კვირას, მარტის 24-ს.

გამოვიდა და ურეკდება ქუთაისში
ნოვათი
როგორც 1885 წ., აგრეთვე
1884 წ. ხელის-მოძქურლებს.
მიიღება ჟურნალზე ამ წლის ხმ-
ლის-მომყარა. (3—3)

ზოგიერთი შენიშვნები

როდესაც რუსეთში ბატონ-ქმობა
გაუქმდა და ხალხს პოლიტიკური
და მოქალაქობრივი უფლებანი მიე-
ნიჭა, მაშინ შესაძლოა შეიქმნა, ად-
გილობრივი მმართველობა ადგილობ-
რივთავე მცხოვრებთ მინდობილთ.
და მართლაც ამ დროს, 1864 წელს,
დაწესდა რუსეთში საერო თვით-მმარ-
თველობა, ერობა, შეუქმულნი ოლ-
ქის და მაზრის მცხოვრებლების ნაწი-
ლი კანონმა ვალდებულ-ყოფნა ეხად-
ნათ საერო ხალხი და ამოცნისათ
პირნი, რომელნიც განაგებდნენ ზო-
გიერთს ადგილობრივ საქმებს. მართ-
ბის გამოვლენისას ექვემდებარებინ
მოამტებულ ნაწილად სამეურნეო საქ-
მეები: ზოუნვა ხალხის სიმრთელეზედ,
განათლება ჯედ, მცხოვრებლების საზ-
რღოზედ, საქველ-მოქმედო დაწესე-
ბულებზედ, საერო საურთიერთო
მხლვეველ დაწესებულებებზედ (завъ-
дываніе дѣлами взаимнаго зем-
скаго страхованія), ზოუნვა ადგი-
ლობრივი ვაჭრობის, მრეწველობის,
სოფლის მეურნეობის განვითარება-
ზედ. მუშობასა აქვს უფლება აცნო-
ბოს უმაღლესს მთავრობის ადგილო-
ბრივი საჭიროებანი და ითხოვას
საჭირო შემწეობა და სხვ. მუშობის
მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებენ
როგორც ზოგიერთი მმართველობის
დაწესებულებანი, ისე პრესა, რომე-
ლიც ისეთი ყურადღებით ეპყრობა
ამ საქმეს, როგორც შემწერის მის
შენიშვნელობას.
შორს წავიყვანს, რომ ამ წერილში
განვიხილოთ ერობის ორგანიზაცია,
მისნი უფლებანი და ვალდებულებანი
და აგრეთვე მისნი ნაკლებუნებანი,
რომელნიც ამ ოცის წლის პრაქტი-
კის განმავლობაში საკმაოდ თვალ-სა-
ხინანი შეიქმნენ. მე მსურს მხოლოდ
მოკლებდ ვუყურო ის ღირსებანი, რომ-
ელთა გამოც საერო თვით-მმართვე-
ლობა მიუწოდებულად მალა სდგას
ბიუროკრატიულთან შედარებით. აქე-
დამ ნათლად გამოჩნდება ის ზა-

რალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას
მოსდის ამ დაწესებულების უკანლო-
ბით. მე ვფიქრობ—ეს სურვილი მეტი
არ უნდა იყოს, რადგანაც ჩვენს ლი-
ტერატურაში ამ საგანზედ ძალიან
ცოტა თქმულა.
იმ დანიშნულების ცოტად მაინც
რიგანი შესრულდება, რომელიცა აქვს
ერობას მინდობილი, არას დროს
ბიუროკრატიას არ შეუძლიან. ად-
გილობრივ მცხოვრებთა საჭიროებანი
ერთობ მრავალ-გვარნი არიან; ისინი
სხვაფერდებიან სახემწიფოს სხვა-და-
სხვა ადგილს და სხვა-და-სხვა დროს;
ამის გამო მმართველობის ცენტრა-
ლურ ორგანოებს არ შეუძლიანთ
კანონით განსაზღვრონ ადმინისტრაც-
ციის მოქმედება, — ადმინისტრაციას
უნდა ჰქონდეს მინიჭებული დიდი
თავისუფლება. აქედამ წარმოსდგები-
ან მრავალ-გვარნი უწყისო მოქმედება-
ნი, ენებონი ანუ უნებლიეთნი: ამ
მოხელეებმა არ იციან ადგილობრივი-
ნი საჭიროებანი, პირობები; ადგი-
ლობრივი ინტერესები იმათთვის სით-
ქმის უცხოანი არიან, და ყველა ამას
მედვედ აქვს არა საჭიროებათა რი-
განი დაკმაყოფილება, არამედ მოხე-
ლეთა გამრავლება, რომელთა შენახვა
დიდ ხარჯს ითხოვს და საზოგადოე-
ბის უკმაყოფილებას იწვევს მათს მოქ-
მედებაზედ.
რომ ეროვნული თვით-მმართვე-
ლობა უფრო ხელს უწყობს ადგი-
ლობრივ საჭიროებათა დაკმაყოფი-
ლებას, ვიდრე ბიუროკრატია და
რომ პირველი ერთი და იგივე ხარ-
ჯით უფრო ბევრსაც და უკეთესადაც
აკეთებს, ვიდრე მეორე, — ეს დიდი ხანია
დაბტკიცებულა იმ ადგილების შედარე-
ბით, სადაც ceteris paribus ერთგან
ერობა განაგებს საქმებს და მეორეგან
ბიუროკრატია. ხალხის სიმრთელეზედ,
განათლებაზედ, მეურნეობის და მრეწ-
ველობის განვითარებაზედ და მრავალ
სხვა საჭიროებებზედ ზოუნვა ერობის
შემოვლენადმის ერთ-თავად მცირე იყო,
ეს დაწესებულება კი შედარებით ძლი-
ერ ენერგიულად მოვიდა საქმეს და
უქანასწელი შესაძინევედ წასწია წინ.
საჭიროება არ მოითხოვს, თორემ ამ
აზრის დამტკიცება ციფირების მოყვა-
ნითაც შეიძლებოდა. ამასთანავე არ
შეიძლება არ აღინიშნოს ის კარგი
მხარე საერო თვით-მმართველობისა,
რომ ამ შემთხვევაში მთელი ერობის
ფული (და არა მართლ დაბალი ხალ-
ხისა) ხმარდება იმ საჭიროებათა, რომ-
ელნიც პირ-და-პირ დაბალ ხალხს
შეეხებოდა, მაგრამ მდიდარი ხალხისათ-
ვისაც უსარგებლოდ არ ჩაივლიან
ხოლომე; მაგალითად: ერობისაგან და-
ჭიროებული მასწავლებლებით, ექიმე-
ბით და სხ. უფრო ხშირად დაბალი

ხალხი სარგებლობს, მაგრამ მდიდარ
ხალხსაც ინტერესი აქვს იმაში, რომ
უწყებულად იგონებს ბევრი იყოს წიგნის
მკოდნე ავადმყოფობა. არ გაფრცელ-
დეს და სხ.
ამ გვარად ადგილობრივი მმართვე-
ლობის დანიშნულებას ერობა შეუ-
დარებლად უყვდ ასრულებს, ვიდრე
ბიუროკრატიული მმართველობა. ბარ-
და ამ პირდაპირის სარგებლობისა
ერობას კიდევ სხვა ფრიად ძვირფასი
სიკეთე მოაქვს იმ ხალხსთვის, რომ-
ელიც ამ დაწესებულებით სარგებ-
ლობს. მე ვამბობ ერობის განმეითა-
რებელ ვალენაზედ ხალხის გონებისა
და ზნობისათვის. ადგილობრივი
მცხოვრებნი ირჩევენ პირთა, რომელ-
თაც უნდა განაგონ ადგილობრივი
საქმეები, უკირდებიან მათს ღირსე-
ბათ და ნაკლებუნებათ; ამორჩეულ
პირთა აქეთ სხდომები, რომლებზე-
დაც განათლებულნი და გაუნათლე-
ბელნი იყრიან ერთად, ბასობენ
საზოგადო საქმეებზედ, უწილადებენ
ერთმანეთს თავიანთ ცოდნას და გა-
მოცდილებას, სხვა-და-სხვა მხრივ იხი-
ლენ საქმეს, ამტკიცებენ ან არღვე-
ვენ წარმოთქმულ აზრებს, ერთის სი-
ტყვით ავარჯიშებენ გონებას და
ზნობითს ძალას; ყველა ეს ადგილებს
ხალხის თვით-ცნობიერებას და ანვითა-
რებს მას.
საერო თვით-მმართველობაში ადგი-
ლი არა აქვს წოდებრივს გარჩევას;
ყველა წოდების ხალხი ერთად მოქმე-
დობს და ერთმანეთს ეხმარება საზო-
გადო საქმის კარგად წაყენაში; ამის
გამო წოდებათა შორის შური, უთანხ-
მობა სუსტდება. საერო თვით-მმარ-
თველობის წყალობით ხალხი იძენს
როგორც გონებითს სიმდიდრეს, ისე
პრაქტიკულს გამოცდილებას და ყვე-
ლა ამით სარგებლობს თავის საზო-
გადობრივ მოქმედებაში. ის სწორედ
ცნობილობს იმ ზომითა, რომელთაც
შეუძლიანთ უწყებულს საქმეში სიკე-
თის მოტანა, და თუ რამე მიზეზით
არ შეიძლება ამ ზომების მიღება,
უტდის დროს და თან ისე ამზადებს
გარემოებას, რომ მალე შეიძლებო-
დეს ამ ზომების განხორციელება.
არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ
ერთი ფრიად მრავალ-მნიშვნელობანი
მხარე საერო თვით-მმართველობისა.
მუშობა ცდილობს, რაც შეიძლება კარ-
გად გაიცნოს თავის მხარე, ცნობაში
მაიციანოს ხალხის ავი და კარგი და
ეს ცნობანი გახადოს საფუძვლად თავ-
ის მოქმედებისა. რუსეთში ერობანი
შრომას და ხარჯს არა ზოგენ ამ
საქმისათვის: აარსებენ სპეციალურ და-
წესებულებათა ცნობების შესაკრებად
და მათ შესამუშავებლად, ამისთვის
ისინი ქირაობენ საქმის მკოდნე პირთ,

რომელნიც ციფრებით ხატვენ ხალხის
ცხოვრების ცხადს სურათს. ამ გვა-
რად ერობამ უყვდ იცის ხალხის სა-
ჭიროება და საშველი ღონე, ვიდრე
სხვამ ვინმე. მს ვარებობა მთავრობა-
საც კარგად ესმის, და ამისთვის მან
მიანიჭა ერობას უფლება, — აცნობოს
მას ხალხს საჭიროებაზედ და თავის
აზრი შესაფერ საშუალებაზედ. ამ
უფლებით არა ერთხელ ისარგებლეს
რუსეთის სხვა-და-სხვა ერობათ. თი-
თომ მთავრობაც ხშირად ანდობს
ხოლომე მათ ზოგიერთა საგნების გან-
ხილვას (მაგალითად ხარჯის გადახდე-
ვინების (податная) რეფორმაზედ,
გლესთა ადგილობრივი მმართველო-
ბის შეცვლაზედ და სხ.), და ყოველ-
თვის ერობის აზრს ეტყობა ხოლომე
პრაქტიკული გამოცდილების და საქ-
მის ცოდნის ნიშანი და არა კაბინე-
ტური უსარგებლო ღრმა ასროვნობი-
სა, როგორც ეს ხშირად მოხდება
ხოლომე ამისთანა შემთხვევაში. ამ გვა-
რად ერობას ეძლევა შემთხვევა კანონ-
მდებლურ მოქმედებაშია მიიღოს
მონაწილეობა და ხელი შეუწყოს იმას,
რომ საზოგადოების ცნობიერება და კან-
ონმდებლობა გვერდი-გვერდ მიიღო-
დენ და ერთმანეთს ვერ ასწრობდენ;
ამით შეიძლება სახემწიფოს ასცდეს
ხშირად არეულ-დარეული განკარგუ-
ლება.
ზემოდ მე ძლიერ მოკლებდ მოვიხ-
სენიე საერო თვით-მმართველობის
თვალ-საჩინო ღირსებანი. აქედამაც
მკითხველს შეუძლიან გარკვევით და-
ინახოს ამ დაწესებულების საჭიროება
ჩვენი ხალხისთვის. ჩვენი ქვეყანა ისეთ
განსაკუთრებულ პირობათ არას წარ-
მოადგენს, რომელთ გამოც არ შეიძ-
ლებოდეს ერობის შემოდება. ის მო-
სახრებანი, რომლებითაც ზოგიერთებს
უნდათ დამტკიცონ, რომ ჩვენს ქვეყა-
ნაში ვერ იხვიებენ რუსეთის ახალნი
დაწესებულებანი, მათ რიცხვში ერო-
ბაც, არასფერს არ ამტკიცებენ გარ-
და იმისა, რომ მათ წარმომთქმელთ
ერთთავად ცოტა მოსახრება აქეთ და
ბევრი ბოროტება. ამ შემთხვევაში
ეს ბატონები თავიანთ აზრს ვითომ
იმით ამტკიცებენ, რომ ჩვენი ხალხი
გონების განხილობით დაბლა სდგას
რუსეთის ხალხზედ; რომ ჩვენი ქვეყ-
ნის მცხოვრებნი სხვა-და-სხვა ტომთ
ეკუთვნიან და ამის გამო საზოგადო
საქმისთვის ერთ-გულად და ერთ-
სულად მოქმედება არ შეუძლიანთ; ხანდისხან
იმასაც მისწვდება ხოლომე, რომ
მმართველობაში მონაწილეობის მიცე-
მას შეუძლიან ვალდიოს ხალხში მე-
ნებელი პოლიტიკური აზრებიო. საჭი-
როა რიგინად დაუკვირდეს ჩვენი
ქვეყნის მკოდნე კაცი ამ მოსახრებათ,
რომ მაშინვე შეეცუოს მათი შეცდობა,

არაფრით და არაეისგან არა ყოფილა დამტკიცებული, რომ ჩვენი ხალხი გონებით ისე დაბლა იდგეს, რომ არ შეეძლოს თავის საჭიროების გაგება და მისთვის ზრუნვა. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა მრავალტომობაც არ შეიძლება ჩაითვალოს ერთობის შემოღების დამაბრკოლებელ მიზეზად, რადგანაც მათი საცხოვრებელი ადგილის და მათი საჭიროებების ერთობა აერთებს მათს ინტერესებსაც, რომელნიც იმას მოითხოვენ, რომ ამ სხვა-და-სხვა ტომთა ერთმანეთს მხარი მისცენ საზოგადო მოქმედებაში, და არა ეწინააღმდეგონ; ამის გამო ერთმანეთს უახლოვდებიან და ივიწყებენ ურთიერთისადმი შურს. შურს ნაკლებს სამსახურს უწევინებოდნენ. ჩვენებ ჰპირთა პოლიტიკურნი მოსახრებანი. საქმე ის არის, რომ ხალხს უკმაყოფილება უწყებელი წესწყობილებისა იბადება არა მაშინ, როდესაც ხალხი თვითონ ზრუნავს და რაც შეიძლება ცდილობს უკდ დაკმაყოფილოს თავის საჭიროებანი, არამედ მაშინ, როდესაც ის ხედავს ბიუროკრატისაგან ჩადენილ უწყობას და უყურადღებობას თავის ინტერესებისადმი. მსეც რომ არ იყოს ნაჩვენები, პოლიტიკური მოსახრება არ შეიძლება მიღებულ იქნას შესახებ ჩვენის ხალხისა, რადგანაც უკნასკნელს არა ერთხელ საქმით დაუმტკიცებია თავის პოლიტიკური „კეთილ-აზროვნობა“ და რუსეთისადმი ერთგულება.

შეიძლება სთქვას ვინმე, რომ ერთ-ბას ჰპირ-და-პირი და ორგანიზული კავშირი აქვს რუსეთის ისტორიასთან და მის ცხლანდელს წყობილებასთან; რომ მისი შემოღება ჩვენში იმ სახით, როგორც ის ეხლა რუსეთშია, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი ხალხის ბუნებას და მის ისტორიასა. რასაკვირველია, სასურველია, რომ ერთგულთი თვით მმართველობის პრინციპი, რომელიც ყოველს შემთხვევაში უცხო არ არის ჩვენი ხალხისთვის, ისე იყოს განხორციელებული, როგორც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვენ; მაგრამ იმ გარემოებაში, რომ ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი ეს ადგილობრივი პირობები, არ უნდა დააბრკოლოს ერთობის შემოღება ისევე, როგორც მან ვერ დააბრკოლა ეხლანდელი სასოფლო მმართველობის შემოღება. იმის დაგვარად, როგორც ერობა დაიწყებს თავის პრაქტიკას, ჩვენი ხალხის განსაკუთრებით პირობანი თანდითან გათვალისწინებული და ამის მიხედვით შეიძლება შესაფერად იქნეს შეცვლილი ერთობის ორგანიზაცია.

მ. ქაჩუკაძე.

ქ. იაროსლავი. მარტის 10-ს.

ჩვენი გაზეთის მე-54 №-ში დაბეჭდილი იყო 50-მდე მეგრულ-ქართული სიტყვები ერთმანეთთან შესაბამისად. მკითხველი ნათლად სცნობდა, თუ რა რიგი კავშირი ამ სიტყვე-

ბის შუა. ამ ჟამად კვლავ მოგვივიდა ჩვენ დასაბეჭდად ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები. მს სიტყვები ბავშვს, სწავლის დაწესებთანავე, თითქმის ყოველ გაკვეთილზე შეხედება. აი ეს სიტყვებიც. ნიეთა (მეგრულად) — ნიეთი (ქართულად), წიფნი წიფი — წიფნი, ქალარდი, ქალადი — ქალადი, კალამი — კალამი, კარანდაში — კარანდაში, მელანი — მელანი, ოპარალი, საწერელი — საწერელი, ფიცარი — ფიცარი, ბურთი — ბურთი, კოხტი, კოჭი — კოჭი, სკამი — სკამი, სტოლი — სტოლი, არკვანი — არკვანი, კიღობანი, ზანდუკი — კიღობანი, ზანდუკი, ტანტი — ტანტი, ხონჩა, ხონჩა — ხონჩა, სტაქანი, ქირქა — სტაქანი, ქიქა, ბოთლი, ბოთლი — ბოთლი, ქვაბი — ქვაბი, ტაფა — ტაფა, ტაში — ტაში, მანდალი, სასანთა — მანდალი, სასანთი, მაგალი — მანგალი, ცელი — ცელი, ხორხი — ხერხი, ლიფში, ლიში — ნემსი, მარგატელი — მარგატელი, სამართებელი — სამართებელი, კცი, კიცი — კეცი, მამფური — მამფური, ქრაქი — ქრაქი, მარვათა — მარვათა, კში, კიში — კოვზა, სენი — სანი, ქლბი, ქილიბი — ქლიბი, გდელი, გიდელი — გიდელი, ოტახი — სატახი, ეჩა — ეჩა, გუთანი — გუთანი, მარხილი — მარხილი, ურეძი — ურეძი, კოკა, ფოხალი — კოკა, ოდგიში — სადგისი, თოკი, ბაწარი — თოკი, ბაწარი, საჩხელი — საჩხელი, ტყარი ნადირი — ნადირი ტყისა, გერი — მგელი, ლომი — ლომი, ვეფხი — ვეფხი, ირემი — ირემი, სქვერი — შეველი, მელოია — მელოია, ტურა — ტურა, ყურდგელი — ყურდგელი, კურდღელი, ჯიხვი — ჯიხვი, სპილო — სპილო, თუნთი — დათვი, ონაგერი, ონაგირი — უნაგირი, კეხი — კეხი, ალერი — ალერი, ლავამი — ლავამი, აფშარა — აფშარა, აყნა — აყნა, თოქართა — თოქართა, სატარა — სატარა, სატახტა — სატახტა (ნაბადი თაქალთოს ქვეშ), მოსართე — მოსართევი, მალიკი — მანიკი (ბალთა მოსართევისა), საკიდრო, საკიდრო — სამკერდული, სანძო — სანძუე, უჭყედი — საწყვეტი, თასმა — თასმა, ლეედი — ლეედი, ხურჯონი — ხურჯონი, ნალი — ნალი, დალი — დალი, კვალუა — კვალა, საქონელი — საქონელი, ხოჯი — ხარი, კურო — კურო, ბულა, მოზეერი — მოზეერი, კამბეში — კამბეში, კამეში, ფუჯი — ფური, მშური — ცხვარი, ბატკანი — ბატკანი, კრბი, კირიბი — კრავი, თხა — თხა, ერჯი — ერჯი, ცხენი — ცხენი, ჭაკი — ჭაკი, კვიცი — კვიცი, ბაჩა — ბაჩა, ვარყა — ვარყა, ჯოგი — ჯოგი, ფაფარი — ფაფარი, კუდელი — კუდი, ძუა — ძუა, გირინი, გრნი, ვირი — ვირი, ჩოჩორი — ჩოჩორი, ლეჯი — ლარი, ჯოლორი — ძალლი, წიარი — მწე-ვარი, მძობარი — მძებარი, ქოფაქი — ქოფაქი, ლაკვი — ლეკვი, კატუ — კატა, არქემი, აქლემი — აქლემი, ტახი — ტახი, ქა — რქა, მონტყორი — მატყ-ლი...

ძმარა! შევედი, მკითხველსაც მოგ-ბეზრა ამდენის ერთ გვარის სიტყ-ვების ორ-ორჯერ ჩამოკითხვა. დიად,

უწყველია, მოპხვრდა, მაგრამ რას იქ, ყოველივე მოსალოდნელია, და ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებად შექმნილა მეცადინეობა, რომ მეგრული და ქართული ენების შორის მჭიდრო ნათესაობაზე ელახა-რაკობდეთ.

მინაყრი ქრონიკა

— სახემწიფო ბანკის განყოფილებას თბილისში 75,000 მან. უყიდა საკუთარი სახლი მინაყრი თამამოვი-სა შრელინის ქუჩაზე.

— მმართველობა ჰფიქრობს ამიერ ქავკასიაში მადარ სასმელებზედ საპატენტო გადასახადის მომატებას.

— შავილთან ერთად იმერეთს თითქოს გადამდები სენივით გადაეცა ცეცხლი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ მკითხველები წაიკითხავდნ მუთაისში გახშირებულს ცეცხლის გაჩენის ამბავს. მხლა ცეცხლი მუთაისის მახლობელს სოფელში გადასულა: მუთაისზედ ათს ვერსამდე მოშორებულს სოფელში, მალაკში, მარტის 14-ს აფარდნილა ალი და მცირე ხნის განმავლობაში 26-მდე მოსახლე ერთიანად გადამწვარა. მსეც გაძლიერებულს ცეცხლს აღმოსავლეთის ძლიერი ქარი კიდევ უკეთებდა.

— მაცე-იმერეთში „ხონის პარასკეობა“ განთქმულია. არც ერთს სამაზრო ქალაქში (მუთაისიც კი ჩამორჩება) არა ხდება ისეთი მახრობა, როგორც ღ. ხონში პარასკეობით. ბარშემო მდებარე სოფლობა სულ ერთიანად აქ იყრის თავს. აქვე ჩამოდან ამ ღდეს მრავალი მოვაჭრე ურები მუთაისი-დამ, პულაშიდამ, სუჯუნდამ და სხვ. მხრადამ. ერთის ამ გვარს პარასკეობიდან დაბრუნებულთ ეტრაველთ ხონიდან მუთაისისაკენ ეწვიათ ის უბედურება, რომელსაც „ლორების“ წინა № ში იყო მოყვანილი და რომელზედაც ეხლა კიდევ დწვრი-ლებით გვწერენ: ამ თვის 8-ს ქუთაისელი მოვაჭრე ეტრავლნი, რიცხვით ექვსი, თვისის ნავაჭრით და საქონლით მიეშურებოდნენ მეთაი-სისკენა. სოფ. მალაკის მახლობლად ამთ დასცემოდნ თავს ავაზაკები, სამს მოესწრო გატყევა, ორი იქვე მოვკლათ და ერთი მძიმედ დატარა-მოკლულებს დარჩათა, როგორც გვწერენ, დასაწყლებული წერილ-შვილობა.

— სოფ. წველამ (შორაპის მაზრ.) გვწერენ, რომ ამ სოფელში და სპანჯადოდ მთელს შორაპის მაზრაში ყვავილ ბატონები კვლავინდელის სისასტიკით მძინვარებენო. ჩვენს მაზრას, მეთით, სიკეთე დღითიდევ ეტყობაო, მალე რკინის გზის შტოც შეგვიერთებს ჩვენს დაბას (საჩხეცს) შოთა-თბილისის რკინის გზასთან, გულ-ნაკლულად არც სკოლებით ერთ-ოთხი სამრეელო სკოლა გვაქ-

სო: აქარაში, შორაპში; მარბიასში და ხიდარში, მაგრამ ამ ყვეფილმა ქოლამის ამოგვსრისოც ერთიანადაო.

— მთაში ხმა არისო გავრცელებული, რომ ვითომც ერთს ქისტის სოფელს, სახელდობრ ბეველეთს, გადასახლებას უპირებენო, რადგანაც ქურდობა და ავაზაკობა თუ ამით გან არა მოხდა, მოამქმდთ სხვა-და-სხვა ავაზაკობისას მაინც იცნობენ და მასპინძლობენო. ამ ხმის სიმართლე დაუჯერებელია, რადგანაც ეხლა ყველასთვის საზრუნველი ის არის, რომ ხალხში ქურდობისა და სხვა ამ გვარის სენის მოსპობა მათის მდგომარეობის გაუმჯობესობით უნდათ და არა იმ გარბინებით, როდესაც კაცი იძულებული ხდება ლეჟმა პურის მოსაპოვებლად ავაზაკი შეიქნეს. გადასახლების შემდეგ-კი სწორედ ესეთი ამბავი მოხდება.

— ს. ველის-ციხიდან გვატყობინებენ: დადგა გაზაფხული და მელის-ციხელებს აღრიზულად თავ-ზარსა გეცემს ხოლმე ის ფიქრი, რომ ღდეს თუ ხვალ მოვარდება ჩვენი დაუდგომელი მტერი შერემის ხევი და ისედაც დაწოკებულს და ყვავილისაგან დაზიანებულ ხალხს, ერთი ათად ზიანს მოგვიმატებს: ხოგს ვენახს წავგირიყავს, ხოგს მარნებში ქვევრებს ავიყვებს წყლითა და სახლის ავეჯულობას ხომ შემდეგ სალიანში უნდა ვეძებდეთ. ჯერ კიდევ მშრალია ჩვენი ხევი, ჯერ კიდევ სიმშვიდე და მყუდროება სუფევს და თუ კი ვისმეს გული შესტკივა ჩვენთვის, დაგვიმაროს ჩვენც, რადგან თვით ვერ მივხედავართ როგორ ეუშველოთ ამ საქმეს და დაგვარჩინოს ველის-ციხელები ხევსაგან დაწოკებას.

— ახალციხელი კორესპონდენტი გვწერს შემდეგს საზარელს ამბავს: გაველილთ თვეში გახლდით ჯავახეთში, სოფ. ხიზაბავრას, სადაც ამ დროს იყო საქონლის ქირი. ღდემი 9-10 სული საქონელი აკლდებოდა სოფელს. ამ ჟამად თვით ხიზაბავრაში საქონლის ქირი, ცოტა არ იყოს, შესწყდა, მაგრამ უარესი უბედურება კი მოჰყვა უკან შემდეგის გარემოების გამო. პატრონები ჭირიანს საქონელს ჰკლავდნ, იღებენ ხორცს, ან მოხვენ აზობტებ და ძხვებდა და დიდის გემით შეექცევიან აუროლებულს და გაზავებულს აზობტ-ძხვებს. ამ შემთხვევას მოჰყვა ეხლა ადამიანის ავად-მყოფობა, ადამიანის ჭირად უწოდებენ. ღდემი 5-6 კაცი კვდებოდა და განახევრა სრულობით განსაკუთრებით სოფ. ტამალა. ამ სამს თვეში ხიზაბავრაში ათას-ხუთას სულამდევ საქონელი იმხსვერბლა ქირმა. აქედამ ქირი გადაედგა მთელს ჯავახეთს და მცხარებთ ვაგა ზეცას ისმის...

— ახალციხიდანვე გვწერენ: ახალციხის მახლობლად მღებარებს სოფ. ივლიტა, რომლის წმ. ჯერის ეკლესიას კარგა ძალი მრეელი ჰყავს და შემოსავალიც საკმაო. მღ. ჩილინგა-

როვი და სინდით ბ. ალექსანდრე მეუბნება წესისამებრ სამს წელიწადს ემსახურნენ ამ ეკლესიაზე. ბაიდა სამი წელი და მრევლმა პოლიციის დასწრებით მოსთხოვა მათ სამის წლის ანგარიში. შესავალი შესდგა ბანკის ბილეთებითურთ 3600 მანათი. სანამ გასავალს მოისმენდნენ ეს თანხა ყველას სასიამოვნოდ დაურჩათ; მაგრამ გასავლის მუხლებს დაწერილებით განხილვის რომ შეუდგნენ არა ერთი ლანძღვა-წყევლით მიმართეს ბ. მეფის სოფს, რომელმაც ნაღდი მოგება მხოლოდ 42 კ. წარმოუდგინა მრევლს. მასავლის შედგენა ყოველად უსაპართოდ დაინახა მრევლმა და საქმე ამ ეჟაღ პროკურორის ხელში წარმოებას. ბ. მეფისთვის ზოგი სხვა ცოდვაც მიუძღვის: ამას წინადა ისა და სტ. შაფაზოვი გაგზავნეს პონტანტინებოლში, რომ დაეხსნათ ახალციხის სამი ეკლესიის ქონება — 3000 მანათი. ამით დაივიანეს სამი თვე; როდესაც მოვიდნენ, ხალხმა და მღვდლებმა მოსთხოვეს ამით ის 3000 მანათი; მაგრამ იმათ ყურიც არ ათხოვეს, პირიქით დიდის გულით დაუხვედნენ: — რას ამბობთ! ჩვენ რაღა ფული მიგვჩებოდნა, დღემი პონტანტინებოლში სახლის ქირას 10 მანათს ვიხდრიდით და სასმელ-საქმელში 20 მანათი მიგვდიოდა, აბა, ჩვენ რაღა ფული უნდა მოგვეტანა, პირიქით ჩვენი ჯიბიდანაც სხვა ფული დავხარჯეთო. — ამ თვის მ-დამ იმ სტ. შაფაზოვსაც მოსთხოვეს ანგარიშის ცნობაში მოყვანა. პომისიის თავმჯდომარე მამა ბეჩკა-მამე მკაცრად ეპყრობა ამ სინდის ძავეის მეტ-ნაკლებად არ ანგარიშებინებს.

== გაზ. „სოფ. რბ.“ წაყიითხეთ: თბილისის რეჟის სამსახურლოს პრეკურსმა რამდენიმე საჩივარი მაილა მქუტის ციხეში დატუსაღებულ პირთაგან, რომ ციხის კანტონადამ მათ დაუბრუნესთ თავიანთი ნიკოტა და ფული. ციხის წინააღმდეგ შეკამპსკე-ღმ და თხოვნილ იქმნა თავის ადგილი და მ გამომიება არის დანიშნული მისგან დასარკვევლის ტუსაღების ფულითა და ნიკოტის თანახმად.

== გაზ. „კავკასია“ კვითხულად: ნამდვილის წყაროებიდამ შეკითხეთ, რომ ფინანსთა მინისტრმა თავ. მთავარ-მართებლს თანხმობით თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებათა სარეკვიზია კომისიაში ფინანსთა სემინისტრის წარმომადგენელად და რეკვიზიის მოსახსენებლად დანიშნა თბილისის განყოფილების სასემპლიფო ბანკის კონტროლიორმა ბ. სპანელი.

დროების კომპრომისონი

ბათუმში. მართა ბათუმელმა მეცნიერმა ბრძანა ამას წინადა, რომ ქ. ბათუმი ჯერ იურდიულად არ არსებობსო. რამდენად საფუძვლიანია ეს ფრაზა, ამის გამოკვლევას არ შეუდგები, მხოლოდ ვინატრებ კია, რომ

ეს მართლა ასე იყოს. ნუთუ მაშინაც ექმნება რამე თვისება იურდიულის საბუთისა იმ ჩემს მტერ-მოყვარე „დავთარს“ რომელიც, დღეს ბათუმში აღუა და მძებვა საადგილო-მამულთა საქმეებისა? სულით და გულით მსურს ამ ვერანა დავთარზე აღარ ეილაბარაკო, მაგრამ რა ექნა, რომ იგია დღეს ჩვენი პროვინციური წყალური, იგია დღის ვარამი. მითარცა მეთვალყურე პროვინციის ცხოვრების ტრილისა, ამ ჯადოს ვერ ავცდები, მითი დავიწყობ საქმეს და მითივე გავთავებ. იგი ისეთი მოკვადლოებული წრეა, რომლის ვარე უნდა ვიტრიალო მშიერ ყორანსავით. მამ ნურას უკაცრავად, რომ ისევე ამ ჩამჭვარტლულს დავთარზე ვიწყო ლაბარაკი. არავის პიროვნებას არ ვეხებები. თუ ჯოხის ნატები ვისმეს ხვდება; ამის ბრალი — მსჯელობის საგანი და წერის კილო.

მსმალური მეცნიერება არაბულს ენაზე აღმომცენარებული. მისი ქვაკუთხედი არაბული ენაა. რადგანაც ის ენა, რომელზედაც არის დაწერილი „შორანი“, დღეს ყველარი ენა ამიტომ საშინლად ძნელია რამალთათვის რამალური მეცნიერების მიღება („შორანის“ შესწავლა და წერა-კითხვა). ეს სიმწელე ერთი ათად ძლიერდება, რადგანაც ამ მეცნიერების შესწავლას წინ არ უძღვიან არავითარივე მეთოდური ხერხები. სწავლება სწარმოობს ტრადიციულად შემოუნებულს მეხანიკურს წესზე, რომელიც არც ხორცს არ ეგია, არც სულსა. აი, ამიტომ არის, რომ „ეფენდობის“ ან „ხოჯობის“ ხარისხის მისაღებად საჭიროა 15 — 20 — 25 წელიწადი მუდმივი სწავლა. ამის შემდეგ ისწავლის კაცი კითხვას და წერას შეგნებულად. ღღეს ჩვენი დავთარი რამალურს ენაზე დაწერილი და ჯერ არ არის ვალთარგმნილი რუსულ ენაზე. იგი მინდობილი აქვს დღეს ისეთს პირს, რომელსაც „ეფენდობა“ მიუღია სრულებით სხვა მეცნიერების ტაძარში. რომ აუცილებელი საჭიროებაა, ეს დავთარი მინდობილი ჰქონდეს რამალურს ენაში ვანვითარებკლს პირსა, რათა იგი მეცლომაში არ შეიყვანონ ათას გვარ ბაროტ-მომკმელთა, ამას თვალნათლივ დავანახებ მკითხველს შემდეგის ფაქტადან:

ღიღი ხანია მესმის ბათუმელი მესხელებისაგან, რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინადა, როცა რუსეთმა ეს მხარე ჩაიბარა, მსმალეთის სხვა-და-სხვა ადგილებში თურმე იწყო ვაცხარებული მუშაობა ვსრედ-წოდებულმა „თაფების ქარხანამ“. შაქტების უქონლობის გამო ამ „ქარხანაზე“ ბეჭდვითს ლაპარაკს ვერა ვებდავდი, და აი, ფაქტიც: ბათუმში სცხავრობდა ერთი ფრიალ პატივემული პერი, მესხელი კაცი, რომელიც ყველასაგან კარგად მიღებული იყო. როგორც ვიცნობდი, მართლაც რომ ღირსიც იყო განსვენებული ამ გვარის პატივისცემისა. მითი წელიწადია, რაც იგი ბათუმადგან წაიდა მსმალეთის ერთ ქალაქში მინაური საქმეების გამო. აქ იგი

უცრად ვარდაცვალა. როგორც რიგია ამ გვარს საქმეში, მისი სადგური მაშინვე მთავრობისგან თურმე ვასინჯულ იქმნა. სხვათა ნიკოთა შორის განსვენებულის სადგურში უპოვნიით რც-და-ათი ცალი შემწავლებული ფორმები, „თაფები“, ხელმოწერილი, ბეჭედ-დასმული, თარიღ-აღნიშნული, როგორც ვეესაბამების „თაფს“. მხოლოდ შუაში ცარიელი ადგილია სახელი და გვარის ჩასაწერად, მამულის სახელ-წოდების და მისი სიერის რადენობის აღსანიშნავად. მთავრობას ეს ქაღალდები ვარდაუცა ვისდამიც ვერ არს. თუმცა მესხელი ამ გვარს საქმეებში არ ვაერცოდა, მაგრამ მასთან ნაპოვნმა ქაღალდებმა თვალ-ნათლივ დავანახე იმ „ქარხანის“ რინბაზური საქმეები, რაკი ეს ამბავი ვავრცულდა ბათუმში, ახლა კი იძახიან მესხელები, რომ „მაგისთანა — ყალბი ქაღალდებით ბეჭერი „ჩაუმი“ (შემის მზიდველი) ვახდა ბათუმში მიწა-მამულის პატრონიო...“.

ბათუმის პოლიციამ ფიცხელი ბძანება ვასცა ქალაქში, რომ ყველა მაწანწალა ძაღლები, რომელთაც ველზე საყელური არ ექნებათ, დახოცილი იქმნებიან საწამლავეითაო. ამ ვანკარგულების წყალობით დღეს „ნოვი სვეტში“ ბევრს ვეხვდებით იმისთანა ძაღლებს, რომელნიც ღირსნი არ არიან იმ საყელურებისა, რომელთაც იგინი ატარებენ! ნეტავი ვველა მიწანწალა ძაღლებს ვებამდენ საყელურებს, მაშინ არც ერთს ძაღლს აღარ მოკლავდენ, თორემ თუ რომელიმე ძაღლი მოკვლეს, იმის ვგამს მაშინვე „ნურიამი“ მობაძანებენ. რაც უნდა ცული იყოს მაწანწალა ძაღლი, ცოცხალი მაინც არის, ჯანი ვავარდეს, — სად მძარი, რომელიც ცხერი წინ ვგვიგაღია და სად ცოცხალი ძაღლი!

თუ ბათუმში ხოლგრა ვანდა, სწორედ „ნურიადგან“ დაიწყება, იმ ქუჩიდან, სადაც პ — ციის მოხელის სამწერლობა; ეს ქუჩაა „ნაგვის ქუჩა“... .

აიგოს ბათუმი ვექილებით: იმდენი „აღვაკატები“ აქა, რომ სასამართლოში იმდენი მომხივარნი არ არიან. აღბად მსუქანი ლუქმა ბათუმში ეს ხელობა, რომ ყველა ადვაკატობს. ძან მოუხვდებათ ამათ „ნიძაღური“, პატრონი რო ჰქეანდეთ!

ღიდ-ძალი მუშა ხალხი მოაწყდა ბათუმს. ღიღი მოძრაობაა. ამ აუარებელს მუშებს იზიდავენ აქ ნავთის ქარხანა, საბაჟო მფობის კეთება, ბატარეა, პორტი და სხ. როგორც ვევიტყვი, ყველა მუშებს ერთ გვარად არ ასაჩუკრებენო. შპირატესობა ეძლევათ რუსეთიდან მოსულს ხალხს, რადგანაც იგინი შორიდგან არიან მოსულნიო.

ბათუმელი მეგრელები ძალიან ვეაფუცხუნა „ლოებაში“ აღძრულმა სავანმა. ყველა იძახის, რომ ქიჩია და ლხინშიაც ქართველები ვართო... ბლანელის ფალანგობის ხმას მსმალეთშიაც მიუღწევია. იქიდან მოვი

დენ ბათუმში სამი გამოჩინილი მოკიდავენი, რომელნიც ბლანელს ვევეენ ბათუმში. რომ, მოვიტოვებს ბლანელი, გესიამოვნება, მით უფრო, რომ კიდაობაში აღებული ვე მოსავლის ნახევარს სამივე ფალანგები ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლას სწირავენ.

ბეჭრ წელიწადი მიდის, რაც ბათუმელს ქართველობას სწადიან გამართოს წარმოდგენა ან კონცერტი ჩვენი სკოლის სასარგებლოდ. ამ საქმის მოთავენი რც დასად ვაიყვენენ. მართს სურს სპექტაკლი, ვგორეს — კონცერტი. მისურვებთ რცივე დასების პატიოსნურის სურვილის განხორციელებას. მრცივე დასები გვიპრობენ ვაბენდიერებას საადგომოდ. პონცერტის მოთავეებად აახენდენენ კნ. მრისთავისას და ბ. იენაოვს, ხოლო სპექტაკლის მოთავეებად — კ. მ. ლლონტისას და ბ. ს. შიფიანს.

ბათუმელი.

წერილი რედაქციისადმი.

სწორე მოგახსენოთ, ვუშინდლამ დინ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ ვიცოადი ბელი იმ ჩემი თარგმნისა (ქომბის თხზულებისა), რომელიც ამ თოთხმეტ — თხუთმეტ წლის წინადა ვამოიცა ქ. თბილისში. არ ვეგონა, რომ იმ თარგმნის ვეცემლითარი კიდე სადმე მოიპოვებოდა ვასასყიდი. ბუშინდელს ბეჭენის ვაწყეთის წელტონიდან ვი სხვაფრია ვჩანს საქმე. ამ წელტონის გამო ამ საგანზედ რარიოდე სატყვა უნდა მოგახსენოთ:

1870 წელში, როგორც მასხოკს, ქურნალს „მათობში“ იბეჭდებოდა ჩემი თარგმანი. ბანსვენებულმა ალექსანდრე ღავითის ძე მარბელიანმა დიდად სასარგებლოდ დაინახა ჩვენი ხალხისათვის ეს წიგნი და მთხოვე ცალკე წიგნებადაც ვამომეცა. ამ აზრით ვადამცა განსვენებულმა ათი თუმანი, რომელიც უწინდელს „მნათობის“ რედაქტორს ნ. პელიაშვილს ვამოუგზავნე, რომ ხუთასი ევწემლითარი ცალკე წიგნებადაც დაებეჭდა და ვამოეცა. შასი თითო წიგნისა იყო დანიშნული ათი შაური. როგორც განსვენებულისა. მარბელიანის, ისრე ჩვენი აზრი იყო, რომ იმ წიგნების ვაყიდვიდგან შემოსული ფული სხვა სასარგებლო ქართული წიგნის ვამოცემას მოხმარებოდა. აქამდის არ ვიცი რამდენი წიგნი ვაყიდა და რა შემოვიდა.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ამ თარგმნის ვამომცემელს ან ვარიში ვამოეცხადებინა და თუ რამ შემოსავალი იქნებოდა, ეს ფული ვარდაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი“. ამ გზით ერთი რარი გროში მიემტებოდა იმ თანხას, რომელიც ქართულ წიგნების ვამოასაცემად არის დანიშნული. ვასილ მახაბელი თბილისი, მარტის 20-ს.

ჯეოგრაფია

„ხრდილოეთის საკანტონისა“
მარტის 20-ს.

ჩინა. მდინარე დვინაზე უნუ-
ლი დაიძრა ვიტებსკის, დინაბურ-
გის და ფრიდრიხშტადტის მან-
ლობლად; რამოდენიმე დღეა მას
შემდეგ, რაც უნუღმა რიგიდამ
მდ. დვინის შესართავამდე ჩაიარა.

ბერლინი. დღეს ეკლესიაში გადი-
ხადეს რუსეთის აქყოფილის ელჩის
თავადი არლოვისათვის პანაშვიდი,
რომელზედაც იმპერატორის სა-
ხელობით გენერალ-ადიუტანტი
ჰოლცი დაესწრო.

პარიზი. გაზეთები ამბობენ, რომ
სამინისტროს შეცვლა საფრანგე-
თის გარეშე პოლიტიკას არ შესუ-
ვლისა და ფიქრობენ, რომ ახა-
ლი სამინისტრო შემდგარი იქმნე-
ბა პარლამენტის უმრავლესობის
ყველა გუნდთაგანაო.

ბრძანება, საჩქაროდ გაიგზავ-
ნოს თონგინში 8000 ქვეითი ჯარი
6 ბატარეა და სპაგების ესკადრო-
ნი; რომოცდა ათი ათასი ჯარისკაცი-
საგან შემდგარი კორპუსის გაგზავ-
ნა გადიდებ იმ დრომდის, სანამ
პალატა მოთხოვნილი ფულის გა-
ცემას არ გადასწყვეტს. იმედი
აქვს, რომ 10,000 ჯარისკაცის
გადაყვანას დანიშნულ ადგილამდე
35 დღისა და ღამის მეტი დრო
არ დასჭირდებაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პა-
ლატაში სამხედრო მინისტრმა იმე-
დი განაცხადა რუსეთთან საქმის
მშვიდობიანად გადავების შესახებ
და სთქვა, რომ ესდინდელი სამ-
ხედრო მომზადებანი ინგლისისა
გამოწვეული არიან მხოლოდ სი-
ფრთხილისა და სადავო ადგილის
სიშორის გამო, და აგრეთვე იმ
პირობის მიზეზით, რომელიც
ინგლისს ავალებს, ავღანის ემირის
ინტერესები დაიცვასო.

რუმალ-პინდი. დღეს დილით აქ
მოვიდა ავღანის ემირი, რომელსაც
დიდის პატივით მიეგებნენ.

მარტის 20-ს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ „სუა-
რამანგის და ახს.“ ფირმა 50%
შეაძლია თავის კრედიტორებსაო,
დღეს თ. ბისმარკის დაბადების
70-წლიურ დღესასწაულობის გა-
მო „Journal de St-Petersbourg“
ამბობს, რომ რუსეთი წრფელის
გულით უერთდება ამ დღესასწაუ-
ლობას, რადგან ბისმარკი სუდი-
ლობდა ორთავ სახელმწიფოთა
მეგობრულის კავშირისათვისაო.

პარიზი. სენატმა დაამტკიცა პა-
ლატისაგან მიღებული კანონი 50

მილ. ფრანკის თაობაზე თონკი-
ნის ექსპედიციისათვის.
ახალი სამინისტრო ჯერ არ
შემდგარა. გრევის მოღვაწეობა
აქვს ფრეისინესთან.

„დროების“ ფოსტა.

ს. უ-მვიდს. თქვენს კორესპონ-
დენტის დაგებულად, რომ ორი დღის
წინაშე მაგისტრსავე არ დაგებულა (ახ.
„დროება“ № 56).

3-ს 3. მ-ს. თქვენი წერილი
„ხედა და მოუგადებელი მიწების
გამო“ არ დაგებულა.

მ-ს თ-ს. თქვენს წერილს ვერ
დაგებულა.

ვ. ბ-ს. „გოდება“ ბარემ კარგია
დასაბუჯად, მაგრამ ვერა გებულა.

ვ. გ-ს. თქვენი კორესპონდენტის
გზებს უჭიკნელობისა და უსუფთაობის
შესახებ რეპორტში არ დაგებულა. გა-
მეორება გამოვა.

განცხადებანი

მოკავალ დღესასწაულობისთვის
ისყიდება ნამდვილი ძახეთის ლეი-
ნოები თ. შამაშაძისა, ჩოლაშაძე-
მისა და სხვა მემამულეთა ვენახებისა.
ბოთლი 15 კაბ., 1 მან., ედრო 2
მან. 20 კაბეიდან — 10 მანეთამდინ.
პაღვალში პელიამინოვის ქუჩაზედ
ლენინის ქვეშ.
(2-1) ს. ი. კურდღელია.

ქვეშ
თბილისის მხლდობლად
მამულს სიჯაროდ. ადრე
სი: კუკია, ალექსანდროვის
ქუჩა, № 1, ქვედა სართუ-
ლი. (3-2)

ქუთაისში,


ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა
მალაზიაში ისყიდება ყოველ გვარი
საქონელი, სხვებთან შედარებით ია-
ფად. მალაზია იმყოფება ბულვარის
პირ და პირ საკუთარ შენობაში.
(14-2)

საითერო განცხადება

ამ წლის მარტის 31 იდამ, მი-
სის 1-ლამდის და ამავე წლის ოქ-
ტომბრის პირველიდამ 1886 წლის
ადებამდის ქართული დრამატიუ-
ლი დასი დაიწყებს წარმოდგენე-
ბის გამართვას. ამის გამო დასის
გამგეობა მოიწვევს, როგორც
ქველს არტისტებს აგრეთვე დასში
ახლად შემოსვლის მსურველთა, —
წარუდგინონ თავიანთი პირობანი
დასის საქმეთა გამგეს.

(6-4) საქმეთა გამგე გ. ახაშიძე.

განსაკუთრებული მალაზია ორიქლის მაშინებისა როგორც მკვიდრი ისე ლოკომობილებისა ჰორიზონტალური და ვერტიკალური 1—50 ცხენის ძალამდე



ჰორიზონტალური მაშინა
ლოკომობილი 3--30 ცხე-
ნის ძალამდე
მაშინა ვერტიკალური
1—20 ცხენის ძალამდე
მაშინა ჰორიზონტალური
ნახევრად-მკვიდრი 5--50
ცხენის ძალამდე

ყველა მაშინები დამზადებული არიან
J. HERMAN — LACHAPPELLE
J. BOULET et Cie, Successeurs, Ingenieurs-Constructeurs.
RUE BOINOD, 31-33 (Boulevard Ornano, 4-6) PARIS
მინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწერილებითი პირობები გაეგზავნე-
ბა. (2-2)

რამაზა ბუჩაღისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.
შეცრად სწვევთავს ყოველ-გვარ შინაური მწყობს, როგორც მავ-
კრიკინებს, პრუსაკებს, ბალინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს,
ნამის კიებს და სხვ.
იგი მოქმედობს უეცრად,
არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერე-
ბას. რომ არაფერ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამო-
გონება, გთხოვთ მიაკციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას,
რომელიც ამ „რამაზა ბუჩაღის“ ყველა კოლოფზეა.
ფასი კოლოფისა 75 კაბ. და 40 კაბ.
ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მალაზიებში.
შითაერესი დეპო ამიერ-კავკასიისათვის არის თბილისში „დაე-
კასიის საზოგადოება სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა და მის განყო-
ფილებში ბაქოს. II 19,485
(25-22)

ПОДПИСКА
На политическую и литературную газету
ВОСТОКЪ
НА 1885 Г.
Газета ВОСТОКЪ служить органомъ православныхъ вос-
точныхъ народовъ, выходить до двухъ разъ въ недѣлю.
Подписная цѣна: съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб.
за 1/2 года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за 1/2 го-
да 5 руб.
Подписка принимается: ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго
камен. моста, Д. Полякова. (10-9)

ქალაქებანი

იმერეთის ეპისკოპოსის შამიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის
ველა წიგნის მალაზიებში და აგრეთვე შუთაისისაში. შასი თითო ტომისა
მანათ-ნახევარი. თბილისის და შუთაისის-გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ
ქალაქებთა ამ სახით: ვე თიფლისე, ვე კავკასესკუი კნიჟნუი ტორგოვლუ
გრიკოროვა, ან ვე კუთავე: ვე კანცელარია ეპისკოპა. (16-16)